№ 158 ივლისი 28, სამშაბათი — 1892 — ივლისი 28, სამშაბათი № 158

# ივერია

სახოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1892 — 1877—1892

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-[illegible] ჩქარა უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქ-ცია[illegible], კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის [illegible] პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახ-[illegible]; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა-[illegible] კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბან-[illegible]ში, სასახლის ქუჩაზედ.

[illegible] განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრი-[illegible] რვა კაპეიკი.

## რედაქციისაგან

გაზეთი „ივერია“ 1-ლ აგვისტოდგან წლის დამლევამდე ღირს 5 მან. 50 კაპ. მსურველს შეუძლიან ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს. (10—1)

სასწავლებელი და პანსიონი

ჯორჯიკიასი

(ქუთაისში)

გიმნაზიის, პროგიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლების პირველ და მოსამზადებელ კლასში მომზადებისათვის აიღებს სამ-სამს მანეთს თთვიურად. პანსიონერებს შენახვისა და სწავლისათვის გადაახდევინებს წლიურად 180 მან. სასწავლებლის პანსიონში შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება გიმნაზიის და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. მეორე, მესამე და სხვა კლასებში მომზადებისათვის მეტსაც აიღებს. ვისაც პანსიონში შვილის მიბარება ან დატოვება უნდა, საჭიროა ოც აგვისტოდგან პირველ სექტემბრამდე შეგვატყობინოს (ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში). (20—1)

### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

25 ივლისს, დილით, ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში 9 კაცი იყო და 3 დედაკაცი. მიიყვანეს ერთი კაცი, სტეფანე არაქელოვი. 26 ივლისს დილით იყო 10 კაცი და 3 დედაკაცი. მიიყვანეს ერთი კაცი, სერგეი გლუშენკო, რომელიც ჩქარავე გარდაიცვალა; საავადმყოფოდგან გავიდა ერთი ქალი, გოლოვკოვისა; გარდაიცვალა 4 კაცი და 1 დედაკაცი: ფულუარიშვილი, არაქელოვი, ოლშევსკი, გრიქუროვისა და გლუშენკო. 27 ივლისს დილით 7 კაცი იყო და 1 დედაკაცი.

სახლში წვანან: 25 ივლისს—იულიან სოსნოვსკი, ირინა შჩერბინა და სერგეი გრუშჩენკო.

რკინის გზის სახოლერო ბარაკში მიიყვანეს: იაგორ ჯაყელი, სტრელკოვი და ანისია რუტცი.

გარდაიცვალნენ: 26 ივლისს სიარა ქარელიშვილი და არაქელ პატკანიანცი.

მეტეხის სამკურნალოში კარგად გახდნენ ტუსაღნი: სევერინი, ტამაევი და სარქისოვი და აგრეთვე კარგად ხდება ტუსაღი აძირაძე.

ელისაბედ რუდაკოვისა ხოლერით არ აღმოჩნდა ავად.

ქ. ახალქალაქში 25 ივლისს იყო 2 ავადმყოფი. 26 ივლისს ავად გახდა 1 და გარდაიცვალა 1. სოფ. არაგვში 25 და 26 ივლისს კვლავ ავად გახდა 17, გარდაიცვალა 3; სოფ. ხოსპში ამ ხანშივე ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1.

ქ. ახალციხეში 26 ივლისს ავად გახდა 1 ჯარის-კაცი: სოფ. ასპინძაში 25 ივლისს ავად გახდა 7, გარდაიცვალა 2.

ბორჩალოს მაზრის სოფ. ეკატერინენფელდში 25 ივლისამდე ავად გახდა 33, მორჩა 24, გარდაიცვალა 4, ავად არის 5. სოფ. შულაფერში გარდაიცვალა 3, ავად არის 1.

დუშეთში 23 ივლისს გარდაიცვალა კავკავიდგან მოსული ბურდული; სოფ. ქსოვრისში 20-დგან 22 ივლისამდე ავად გახდა 16 კაცი, გარდაიცვალა 13; 22 ივლისს კვლავ ავად გახდა 4 კაცი.

დიღომში (ტფილისის მაზრაში) 22 ივლისს ავად გახდა და გარდაიცვალა დავით შიოშვილი; 23 ივლისს ავად დახდნენ იაკობ კოტირაშვილი და თინათინ მზარეულიშვილი ტყეში, სადაც იმიტომ წავიდნენ, რომ ხოლერას დავახწიოთ თავიო.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ ხოლერით დაზარალებულ სოფლის ღარიბ ხალხის სასარგებლოდ: თავ. გიორგი ანდრონიკაშვილისაგან 5 მ., თავ. გიორგი თარხნიშვილისაგან 5 მან., სტეფანე სერგეევისაგან 50 კ., სტეფანე ივანეს ძის გომართლისაგან 50 კ., მიხაკო დარისპანის ძის გომართლისაგან 50 კაპ., სულ 11 მან. 50 კ. ამ ფულისა გვქონდა 340 მან. 50 კ., ამითი შესდგა 352 მან.

*** ქუთაისის გუბერნატორი იუწყება: 23 ივლისს ხოლერით ავად გახდა: ფოთში—1, სამტრედიაში—1; გარდაიცვალა: ქუთაისში—2, ანაკლიაში—1, სამტრედიაში—1; ავად არის: ქუთაისის სამკურნალოში—3, ფოთის სამკურნალოში 12: სამკურნალოებს გარეშე—1; ანაკლიაში—1.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 23 ივლისს ბაქოს სამკურნალოში მიიყვანეს 3, გარდაიცვალა 3, მორჩა 6; გუბერნიაში ავად გახდა 207, გარდაიცვალა 196, მორჩა 47, ავად არის 126, სამხედრო სამკურნალოში ავად არის 30; ბაქოს საპატიმროში ავად გახდა 3, სულ ავად არის 11.

*** განჯის გუბერნატორი იუწყება: 23 ივლისს განჯის გუბერნიაში ხოლერით ავად გახდა 146, გარდაიცვალა 84, მორჩა 22; მთელს გუბერნიაში 282 ავადმყოფია.

*** ყარსის გუბერნატორი იუწყება: 24 ივლისს ბაშურაგელში ხოლერით ავად იყო 32, გარდაიცვალა 6, მორჩა 8, კიდევ ავად გახდა 20; სულ ავად არის 38; ტეხნისში გარდაიცვალი 3, მორჩა 2, კიდევ ავად გახდა 8, სულ ავად არის 11. სოფელ კიზილ-ჩახჩახში ავად გახდა 2.

*** ერევნის გუბერნატორი იუწყება: 22 ივლისს ერევნის გუბერნიაში ხოლერით ავად გახდა 26, გარდაიცვალა 26, ავად არის 122.

*** სტავროპოლის გუბერნატორი იუწყება: 24 ივლისს ნოვოგრიგორიევსკის მაზრაში ხოლერით ავად გახდა 448, მორჩა 45, გარდაიცვალა 179; მედვეჟენსკის მაზრაში ავად გახდა 15, მორჩა 4, გარდაიცვალა 13; ალექსანდროვსკის მაზრაში ავად გიხდა 7, გარდაიცვალა 1.

*** დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 23 ივლისს შურაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 4, მორჩა 1; პეტროვსკში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 7, მორჩა 3, დარუბანდში ავად გახდა 10, გარდაიცვალა 2, მორჩა 4; ოლქებში ავად გახდა 730, გარდაიცვალა 364, მორჩა 358. მთელს დაღესტანში 1,262 ავადმყოფია.

*** 25 ივლისს ტფილისის ვაგზალზედ გახდა ავად ხოლერით პირველის კლასის ბუფეტის ლაქია, იაგორ ჯაყელი.

*** კვირას, 26 ივლისს, დანიშნული იყო ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა კრება, რომელსაც უნდა განეხილა ზედამხედველ კომიტეტისა და ბანკის გამგეობის მოხსენება, რომ 12,000 მან. გადიდოს ტფილისის გუბერნიაში ხოლერის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებადაო. ეს კრება დანიშნულ დღეს არ შესდგა, რადგანაც კრებას წევრთა კანონიერი რიცხვი არ დაესწრო. კრება დაინიშნა 10-ს მარიამობისთვეს.

*** დალალები ხშირადა ყიდულობენ ხოლმე ტფილისში ნახმარს ტანთსაცმელს და შემდეგ სოფლებში ჰყიდიან. რადგანაც შესაძლოა, რომ დალალებმა ხოლერიან ავადმყოფის ტანთსაცმელი გაყიდონ სოფლებში, ამიტომ ტფილისის გუბერნატორმა უბრძანა მაზრის უფროსებს, დალალებს ნახმარ ტანთსაცმელის გაყიდვა აუკრძალეთ სოფლებშიო და სოფლელებსაც ჩააგონეთ, ტფილისიდგან მისულ დალალებისაგან ნახმარს ტანთსაცმელს ნუ იყიდიანო.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ინჟინერმა გრაჩოვმა განკარგულება მოახდინა, რომ მგზავრებს შეეძლოთ უფასო დეპეშით გაუგზავნონ რკინის-გზის მმართველობას თავისი საჩივარი, თუ რაიმე უწესოება მოხდა რკინის გზაზედ, ხოლო იმ პირობით-კი, რომ დეპეშა 20 სიტყვაზედ მეტს არ შეიცავდესო.

*** ამ ბოლოს დროს ტფილისში სანოვაგე დაძვირდა. მაგალითად: წინად ასი კვერცხი ისყიდებოდა 70—75 კ., ახლა-კი 1 მ. 30 კ.,—1 მ. 40 კ. იყიდება. აგრეთვე წყვილი ვარია წინადა ჰღირდა 25—30 კ., ახლა-კი 50—60 კ. დაძვირდა აგრეთვე: წითელი ბადრიჯანი და კარტოფილი.

*** სოფ. საღოლაშენი: დეპეშით გვატყობინებენ, რომ აქ ხოლერამ იჩინა თავიო.

# ფელეტონი

### ეგზემენის წინად*)

(მოთხრობა გეორგ. ბენდლერისა)

კარლს ესმოდა თავის დედის ლანძღვა, ერცხვინებოდა და საშინელი ჟრუანტელი უვლიდა ტანში. წიგნები გაბრაზებით გვერდზედ გადაჰყარა, დაიწყო ოთახში სიარული და ბრაზის მოსანელებლად ხელებს-და ჰმუშტავდა. ფანჯარაც მიხურა, იქნება აღარ გავიგონო დედის ლანძღვაო, მაგრამ ვერც ამან უშველა, მაინც ესმოდა. ოთახში დაცხა, ჰაერი შეიხუთა; მუშაობა აღარ შეიძლებოდა.

როცა ხმაურობა მისწყდა, კარლმა იფიქრა, ეხლა-კი ყველანი დაწყნარდნენო, წამოავლო ქუდს ხელი, ფეხაკრეფით გამოვიდა ეზოში, რომ არავის დაენახა და იქიდგან მახლობელს ბაღში წავიდა სუფთა ჰაერზედ დასასვენებლად. ბევრი იარა დაბარდნულს ხეივნებში და ბოლოს ძლივს დაინახა სკამი. მიყრუებული ადგილი იყო. ძე ხორციელი არავინა სჩანდა ახლო-მახლო და კარლი თავისუფლად მიეცა ფიქრებსა.

მაშ ეგრე, ხვალიდგან ახალი ხანა უნდა დამეწყოს ცხოვრებისა, დამოუკიდებელი კაცი უნდა გავხდე. მართალი უნდა ვსთქვა, ძლიერ-კი გავისარჯე და მუყაითად ვიმუშავე. არა, ადვილი არ იყო ეს საქმე. მარტო სასწავლო საგანი როდი მქონდა თავში საცემი, ბევრი სხვა გარემოებაც მაწვა მძიმე ტვირთად. კარლმა გადაათვალიერა თავისი წარსული და მხოლოდ ათასში ერთი მომხდარი ნანახი სიკეთე გაახსენდა, სხვა სულ ბნელითა და ვაით იყო მოცული. როცა კარლმა თავი შეისწავლა, მაშინვე იგრძნო, დაბალის კაცის ჩამომავალი ვარო და მას შემდეგ ფიქრიდგან აღარ განშორებია ეს აზრი. ყოველივე გარემოება კარლის ცხოვრებისა ისე მოეწყო, რომ სულის წუხილს უარესად უმძიმებდა და უორკეცებდა. პატარაობიდგანვე ამ სახლში სცხოვრებდა, სწორედ იმ ოთახში დაიბადა, სადაც ეხლა მეცადინეობდა, იქვე თამაშობდა ყმაწვილობისას და იქვე ამზადებდა ხოლმე გაკვეთილებს, როცა სკოლაში იყო მიბარებული. იქვე შეიტყო და ჰნახა პირველად, რაც ყოფილა კაცის წუთი-სოფელი. ექვსის წლისა იყო, როცა ლიზა დაიბადა. კარლს კარგად ახსოვს ლიზას აკვანთან რომ მიიპარებოდა და სიამოვნებით უცქეროდა პატარა ყმაწვილს, რომელსაც თავისი პატარა მოხუჭული ხელები პირში ჩაედო და ილოღნიდა. გავიდა ორი წელიწადი და ახლა მამის უსულო გვამის გაფითრებულს სახეს დასცქეროდა შეშინებული. მამა მეეტლე იყო სახლის პატრონისა და იმის სამსახურს გადაჰყვა. თუმცა მეეტლეს არ ურჩევდა და ეწინააღმდეგებოდა კიდეც, მაგრამ ბატონმა უბრძანა და შეაბმევინა ეტლში ორი გაუხედნავი გიჟი კვიცი. ამას უბედურება მოჰყვა. ბატონი გადარჩა და მეეტლე-კი მკვდარი მოიტანეს შინა. მაშინვე გადასწყვიტეს ბატონებმა, რაც მეეტლესთან დანაშაული მიგვიძღვის, იმის შვილს უნდა გადავუხადოთ სიკეთითაო. ეს საქმე ჯერ ბატონმა დაიწყო და, როცა ის გარდაიცვალა, ახლა იმისმა ქვრივმა განაგრძო. ქალბატონს წმინდა მოვალეობადა ჰქონდა შერიცხული, რომ თავის შვილსავით აღეზარდა კარლიც, რადგან მამა მისი ბატონის დანაშაულით გამოესალმა წუთი-სოფელსა. ამ სახით სახლის პატრონებმა კარლი სტუდენტი გახადეს, იმისდა დაუკითხავად.

იჯდა კარლი სკამზედ ხეებს ქვეშ და ყოველივე ეს ამბავი მოიგონა.

დიაღ, სტუდენტი შეიქმნა, ე. ი. უნივერსიტეტში დაიარებოდა და ლექციებს ისმენდა, მაგრამ სიამოვნება-კი არა უნახავს-რა სტუდენტობის დროს. თავისს ამხანაგებს რიგიანად ვერ დაუმეგობრდა. კარლი მეეტლეს შვილი იყო და ყოველთვის გული ექენჯნებოდა, როცა გაიხსენებდა, რომ სხვის მოწყალებითა ვცხოვრობო.

აქ თვით კარლი არაფერს შუაში იყო, შური და ნაღველი ყოველივე თავისით მოდიოდა. როგორც გინდათ აიღ-დაიღეთ, არტურს ასე თუ ისე წყალობა უნდა გაეწია კარლისათვის. კარლი სხვის მოწყალების შემაცქერალი იყო, სადაც არტურს ნება

*) იხ. „ივერია“, № 153.

⁂ სოფ. ნიქოზი: ადგილობრივი მღვდელი დეპეშით გვატყობინებს, რომ ხოლერა ძლიერდება, შემწეობა არსით არის, გვიშველეთ, თორ[ემ] დავიღუპეთო.

⁂ სოფ. ხაშური: 23 ივლისს, შუადღევის 5 საათზედ, საქონლის ტარებელმა გასრისა რვა წლის ბავშვი, ივანე კურილენკო.

⁂ სოფ. კასპი: საეჭვო ავადმყოფობით გახდა ავად სამი ადამიანი. სენის მოსასპობად არაფერი ზომა არ არის მიღებული.

⁂ ზღუდერი, გორის მაზრა: 20 ივლისს მოვიდა ზღუდერში სოფელ დირბიდგან კაცი და შეგვატყობინა, რომ ხოლერით ავად გახდა აქაური მცხოვრები, მიხეილ ალიბეგოვი, და გზაში წევსო. წავიდნენ მაშინვე ავადმყოფის პატრონები და მოიყვანეს ურმით. ავადმყოფი მეორე დღესვე გარდაიცვალა. გაიგეს თუ არა ეს აქაურმა მცხოვრებლებმა, მაშინვე მთებსა და ტყეში გაიხიზნენ, ასე რომ არავინ იყო კუბო წაეღო სასაფლაოზედ. მკურნალი არსადა სჩანს.

⁂ გორი: გუშინ, 25 ივლისს, დილით დარბოდნენ ქოლგებით ხელში სანიტარებიცა და არა-სანიტარებიც ქუჩა-ქუჩა და იძახოდნენ: „ჩქარა დაგავეთ ქუჩები და გაიტანეთ ნაგავი, დღეს გუბერნატორი მოდისო“. დაასუფთავეს ქუჩები. მობრძანდა გუბერნატორიც. ამბობენ, რომ მაინც ეს დროებითი სისუფთავე ქუჩებისა არ იკმარა ბ-ნმა გუბერნატორმა და უსაყვედურა იმათ, ვისი მოვალეობაც იყო თავის დროზედ შესდგომოდნენ თადარიგს, რომ არ ჩაეგდოთ გორი ასეთს უბედურებაში, როგორშიაც ამ ჟამად იმყოფებაო.

ძლიერ ასიამოვნა ხალხი იმ გარემოებამ, რომ ბ-ნმა გუბერნატორმა ინახულა ყველა ხოლერით ავადმყოფი, „ვინც“-კი დაუსახელეს. ყველა დარწმუნებულია, რომ ბ-ნი გუბერნატორი მობრძანდა გორში, ოფიციალურად-კი არა, არამედ როგორც გულ-შემატკივარი მამა, და შესაძლებელია გორის ბედის გამგებელთ-კი ოფიციალურ ბურუსში გაახვიეს მისი შრომა-მოქმედება; შეიძლება არ დაუსახელეს ყველა ავადმყოფნი, რომ ბ-ნ გუბერნატორის ტკბილი ნუგეში მაინც ჩაეტანათ საფლავში, თუ თვით გამგებელთა სახის ხილვანაც არა ჰღირსებიან სხვა ქუჩაში, ‹ცარსკაია› ქუჩას გარდა.

ხალხ[ს] დიდი იმედი აღვიძრა გორელებს „ივერიის“ დღევანდელ №-ში დაბეჭდილმა ბ-ნ ნიკოლაძის აზრმა. სწორედ ციდამ ჩამოსულ მფარველ ანგელოზად გადაიქცევა ბ-ნი ნიკოლაძე გორისათვისაც და მთელის მაზრისათვისაც, თუ მისი აზრი მიღებულ იქმნა ტფილისის საქალაქო გამგეობისაგან.

„ივერიის“ გუშინდელ №-ში ნაჩვენებია ოფიციალურად, რომ „21 ივლისს გორში 10 კაცი იყო ავად. ამათში ერთი მორჩა, სამი გარდაიცვალა, ავად გახდა ოთხი და ამ ოთხში სამი გარდაიცვალა. დარჩა 9 ავადმყოფი“. დღევანდელ №-ში-კი არაფერია, თუ რამდენი გარდაიცვალა 21—24. ამ გარემოებამ ყველა ეჭვში შეგვიყვანა და ვფიქრობთ: უთუოდ სირცხვილისაგან ვერ წარადგინეს უცბად გამრავლებული რიცხვი გარდაცვალებულთაო. 17—23 ივლისამდის ოცამდის საფლავი იყო ახალ სასაფლაოზედ. ეხლა მე თითონ მრცხვენიან, რომ ამისთანა მოკლე დროში, როგორიც არის 23-დგან 25-მდე, ასეთი დიდი განსხვავება გამოდის საფლავთა რიცხვის ჩვენებაში: ახლა მარტო ქართველების სასაფლაოზედ იქნება 30-მდის ხოლერით დახოცილთა საფლავი და ათიოდეც სომხების სასაფლაოზედ.

ხოლერა ხომ ხოლერაა და დაუნდობლად მუსრს ავლებს, მაგრამ არც მისგან გავრცელებული შიში გვაიძულებს რასმე. ერთის სიტყვით, დიდს სასოწარკვეთილებაში არიან ჩაცვივნულნი გორის მცხოვრებელნი და ბევრი მიეშურება სოფლებისკენ ცხადად თუ მალვით და მიაქვს თან სენიც.

რა დიდს მადლსა და სახელს მოიხვეჭდა ისეც სახელ განთქმული ტფილისის ქალაქის გამგეობა, რომ მოეშველებოდეს უპატრონობისაგან ბაქოდ გადაქცეულ გორსა და მის მაზრას იმ გვარად, როგორც ბატონ ნიკოლაძეს შეუტანია გამგეობაში სარჩიელი! თავის თავსაც უზრუნველსა ჰყოფდა ტფილისი და მთელს მაზრასაც დაიხსნიდა გაჭირვებიდგან.

⁂ სოფ. ქვემო-მღეთი (დუშეთის მაზრა): აქაური მცხოვრებელი პავლე ბურდული კავკავიდგან მოდიოდა, გახდა გზაზედ ავად ხოლერით და ძლივს მოვიდა თავის სახლში 20 ივლისს. ორ დღეს უკან გარდაიცვალა კიდეც. ეს რომ გაიგეს ქვემო-მღეთის მცხოვრებლებმა, რომელნიც სულ ოც-და-ათ კომლამდე იქნებიან, შეეშინდათ ასეთის უბედურის სნეულებისა და მაშინვე გაიხიზნენ მაღალ მთაზედ. ზოგმა არც-კი დაჰკეტა სახლი სიჩქარის გამო. სწორედ საცოდაობა იყო შეშინებულის ხალხის დანახვა. იდგა ერთი ჟრიამული და ვაება და ისე მირბოდნენ. ერთს კაცს ზურგზედ აეკიდნა და მიჰქონდა თავის უბადრუკი ბარგი, მეორეს აეკიდა ფქვილი, მესამეს ვარცლი. პატარა ბ ვშვებიც ხელში ეჭირათ, ზოგს ზურგზედ ეკიდათ.

⁂ ახალ-სენაკი: მოგვიახლოვდა თანდათან თავს ზარ-დამცემი ხოლერა. ეხლა ფოთში მძვინვარებს და არც ჩვენ აგვცდება. ეხლაა საჭირო ჩვენთვის ადმინისტრაციის ყურადღება. საჭიროა თხრილები გაიწმინდოს ქუჩებისა, სადაც ეხლა უსუფთაობაა. აგრეთვე საჭიროა აუზის გარეშემო ადგილებსაც ყურადღება მიაქციონ; აუზში აშმორებული წყალი დგას და ჰაერსა ჰშხამავს.

⁂ დ. ყვირილა: ჩვენში ქვა-გუნდის წარმოება ისეთივეა და არავითარი გარკარგულება არ არის მოხდენილი, რომ მუშაობა შეჩერებული იყოს ცოტა ხანს მაინც. ქვა-გუნდის მადნებიდგან გადმოტანას მაინც არ ანება ხალხმა თავი, ასე რომ დღეში, სულ მცირე რომ ვსთქვათ, შეიკრიბება დ. ზესტაფონს ცხენით, ხარკამეჩით და სხვ. 1500 კაცამდე, რომლებსაც, რომ იტყვიან, ფეხს ვერ აურჩევს კაცი, როცა ქვა-გუნდის დასაწყობ ადგილზედ მოგროვდებიან ხოლმე. ჩემის აზრით, ამდენის ხალხის მოძრაობა ერთ პატარა ადგილზედ ამისთანა ავადმყოფობის დროს დიდად საშიშია.

⁂ ქ. თელავი: მედილიჟნეთა ახალი ამხანაგობა დიდს იმედებს იძლევა და კიდეც ამართლებს ამ იმედებს. ვინიცობაა ადგილის პატრონს დილიჟანმა გაასწრო, იმას მაინც ეძლევა ნება, შემდეგში წავიდეს იმავე ბილეთით, თუ ადგილი იქნება; ბილეთის სხვად გადაცემა-კი არ შეუძლიან; თუ რომ ორ მცირე წლოვანს შეეძლებათ დაეტიონ ერთ ადგილზედ, მაშინ ისინი იხდიან მხოლოდ ერთის ბილეთის ფასს. ეს გარემოება ძალიან სასარგებლოა ჩვენთვის, განსაკუთრებით-კი მოსწავლეთათვის, რომელთაც აუარებელი რიცხვი მიაწყდება ხოლმე აგვისტოს დამლევს დილიჟნებს, ადგილებს ვერა ჰშოულობენ და გზა ერთი-ორად უჯდებათ. ეხლა-კი ექნებათ ღონისძიება ხარჯი შეიმოკლონ და იაფად დაისვან ტფილისში ჩასვლა. ამხანაგობის წარმომადგენელი ბ-ნი იაგორ ოსკანოვი აძლევს ქალაქს პირობას, რომ მისი დილიჟანი იკისრებს, ყოველ დღე მოუტანოს ქალაქს გაზეთები, უბრალო წერილები და სხ. უსასყიდლოდ, თუ რომ ქალაქი თითონ ეცდება ამის ნება-რთვა გამოსთხოვოს მთავრობას. ძლივს გვეღირსება ყოველ დღე ახალ-ახალის გაზეთების მიღება, მაგრამ, როგორც თელაველების ხასიათი ვიცი, მგონია ამ საგანს ჩვენი საზოგადოება უყურადღებოდ დასტოვებს და არ შეეცდება ისარგებლოს იმით, რომ ყველა ეს სიკეთე უსასყიდლოდ უხერხდება, ხოლო მთავრობასთან ნებართვისთვის უნდა იშუამდგომლოს.

ძველმა მედილიჟნეთა ამხანაგობამაც ძალიან დასწია ადგილების ფასები: 4 მან. 50 კაპ. ადგილი 2 მან., 50 კაპ. არის, ხოლო 4 მან. 20 კაპ.-კი 2 მანეთად; მაგრამ საზოგადოება მიუხვდა ამ ამხანაგობას, თუ გულში რა უძევს და სრულებით აღარ ეტანება ამის დილიჟანს. ისევე რჩეობს 3 მან. 50 კაპ. და 3 მან. აძლიოს ახალს დილიჟანს, მხოლოდ საქმე-კი საბოლოოდ იყოს გაკეთებული. აქ ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა, რომ თუ ახალმა ამხანაგობამ მოსპო თავისი არსებობა, ძველი— მაშინვე მაღალ ფარდებამდე აუკიდებს ადგილების ფასებს. ეს საზოგადოებამ იგრძნო და საქმეს, როგორც ზევით ვსთქვი, კარგად იჭერს. უსამართლობაც იქნება იმის მხრით, რომ ასე არ მოიქცეს. მეტოქობა-კი დიდი აქვთ ამ ორ ამხანაგობას, მხოლოდ ეხლავე გარდაწყვეტა იმისი, თუ ბრძოლის მოედანი რომელს დარჩება, ძნელია. ნიშნები-კი იმედს გვაძლევენ, რომ ახალი გაიმარჯვებს. ღმერთმა ინებოს!!..

⁂ იქიდამვე: თელავის ბაღში საჩაიე გამართეს ორმა ყმაწვილმა კაცმა, ბ-ნმა აბუშანიანმა და ბ-ნმა ნაზარეთიანმა, რომელნიც მადლობის ღირსნი არიან მეტადრე ამ შაქრის სიძვირეში. შაქარი ძალიან დაძვირდა, ამ ჟამად გირვანქა 20 კ. იყიდება და ამასთანავე მოვაჭრეები იმუქრებიან, რომ კიდევ უფრო გაძვირდებაო.

⁂ იქიდამვე: კვირას, 19 ივლისს, ჩვენმა სამღვდელოებამ პარაკლისი გადაიხადა და შესთხოვა უფალს დაიფაროს ჩვენი ერი ხოლერისაგან. პარაკლისი წირვის შემდეგ იყო გადახდილი ბაღში. პარაკლისს შემდეგ სამღვდელოება ლიტანიით გაემგზავრა ღვთაების ეკკლესიისაკენ. პარაკლისს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

⁂ სამეგრელო: დღეს ან ხვალ ეს არა-სასურველი და თავზარ დამცემი სენი ხოლერა ჩვენშიაც იჩენს თავს. თუმცა, ღვთის მადლით, აქ ეხლა ჯერ-ჯერობით მშვიდობაა, მაინც უწინარეს ყოვლისა სიფრთხილე გვმართებს. მაგრამ სადაა?.. ჩვენი ხალხი სისუფთავეს მაგიერ ცრუ-მორწმუნეობასა და სხვა-და-სხვა ჰორს უფრო მისდევს და აბა აქ რა გაკეთდება. ჩვენის აზრით, საჭიროა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს უვიცსა და განუვითარებელ გლეხ-კაცობის დღევანდელს მდგომარეობას და დაწვრილებით აუხსნას, როგორ უნდა მოუარონ თავიანთ თავს, თუ ეწვიათ ხოლერა... ქართლ-კახეთში დღეს ყველგან ადმინისტრაციის მიერ დაბა-სოფლად გავრცელებულია დარიგება, თუ როგორ სუფთად შეინახონ მცხოვრებლებმა თავიანთი სადგომები და კარ-მიდამო. იგივე ადმინისტრაცია ავალებს პატივცემულ კაცთ, დარიგება მისცენ ხალხს და თვალ-ყური ადევნონ სისუფთავეს. ნუ თუ ჩვენში-კი არ მოიპოვება ისეთი შეგნებული კაცები, რომ იმათაც დაავალონ, იარონ სოფლად და ყურადღება მიაქციონ სისუფთავეს?.. სამეგრელოს ორს მაზრაში ერთი უფრო კარგაა მომზადებული, სახელდობრ ზუგდიდის მაზრა. თუ იქ ხოლერამ იჩინა თავი, ვგონებ ბევრი ვერა გააწყოს-რა: იქ თითქმის ყოველს საზოგადოებაში ავადმყოფთათვის კარავებია დამზადებული. აგრეთვე მეტის-მეტად ბინძური სოფლები დაიწმინდა და სხვ.

⁂ გაზეთი „Тер. Вѣд.“-ი იუწყება: 21 ივლისს კავკავში ხოლერით გარდაიცვალა ოლქის უფროსის განსაკუთრებულ საქმეთა უფროსი მოხელე ინალუხ ტხოსბოვი.

---

ჰქონდა მისვლისა დ ყოფნისა, იქ ყოფნა და მისვლა კარლს მხოლოდ სხვის წყალობით შეეძლო. ნუ თუ ვერ უნდა დავაღწიო თავი ასეთს მდგომარეობას?

კარლი სკამზედ გადაესვენა და სიმწარისაგან თვალები დახუჭა. განა რა მოელის შემდეგში? დამოუკიდებელი რომ შეიქმნეს, კარგი ადგილი ჩაიგდოს ხელში და სხვის მოწყალებას დააღწიოს თავი, ოჯახის არა სასურველი გარემოება როგორ-ღა უნდა მოიშოროს თავიდგან? დედა ცუდის ენის პატრონი და დაც ისეთი, ზრდილობისა სრულიად არა გაეგებარა!.. რატომ წინად არ მოსვლია კარლს ეს ფიქრები? ახ, ვინ იცის, რა სასყიდელს გაიღებდა კარლი, რომ იმასაც ისეთი და ჰყავდეს, როგორიც არტურსა ჰყავს! რა ბედნიერება იქნებოდა!

კარლს თვალ-წინ წარმოუდგა მაღალი, ტანადი, შავ-თვალ-წარბა ქალი. ღმერთო, რა მკაცრი, მაგრამ თანაც რა კეთილ-შობილი სახე აქვს. დიდი ხანია კარლს გულში უღვივის სიყვარული გერტრუდასი, მაგრამ როგორ გაჰბედავს, რომ განაცხადოს! გერტრუდა იმისთვის ღმერთი იყო და შორიდგან რომ ეცქირა, ისიც-კი ცოდვად მიაჩნდა თავის თავისათვის. კარლის საკუთარი და-კი? იმას აბა ვინ მოერიდება, ვიღაც მეეტლეს ქალსა, რომელსაც არტური ელაზღანდარავება! კვლავ წარმოუდგა კარლსა თავისა და არტურს შორის სიღარიბე და სიმდიდრე, აი რა განსხვავებაა მათს შორის! ეს განსხვავება არას დროს არ მოისპობა!

განა რათ იხსენიებს არტური კარლს შენობით და კარლი-კი თქვენობით? რათა ხდება ეს ამბავი თავის თავად? ყოველივე ეს წვრილმანი გარემოება, რომლის შესახებაც წინად სრულიად არ უფიქრია, დღეს სულ თვალ-წინ წარმოუდგა კარლსა და გული შეუწუხა.

ბინდი დადგა. ხეებს ქვეშ ძლიერ დაბნელდა. მხოლოდ მოშორებით წყალი-ღა ბჭყვრიალებდა, რომელსაც მთვარის შუქი დასდგომოდა. ქალაქის ხმაურობა ყრუდ მოისმოდა, თუმცა ხანდახან სრული სიჩუმე ჩამოვარდებოდა ხოლმე, მაგრამ კარლს გული უმშვიდდებოდა. წამოდგა კარლი და შინისკენ გასწია. ოც-და-ოთხი საათი კიდევ და ყველაფერი გამოჩნდება. ეგზამენისა არ ეშინიან კარლსა,—იცის, რომ კარგად დაიჭერს. მაშ რაღა აწუხებს და აღონებს კარლს ეს მთელი დღე? ალბად სიცხე და მოქანცულობა. ეხლა საჭირო აღარ არის კარლისათვის მეცადინეობა!.

ლიზა ფანჯარასთან იჯდა და კარლს ელოდდა. ძლიერ ესიამოვნა კარლს, რომ იმისს დას შალის კაბა ეცვა და წიგნის კითხვაში ატარებდა დროს. „ვერც ლიზა სიამოვნებს რასმე ამ წუთი სოფელშიო“, გაიფიქრა კარლმა და თან თითქო დაინანა, წელან ისე მკაცრად რად მოვექეციო.

მაგრამ ლიზამ ესეთის ამბების დახსომება არ იცოდა.

— აბა, ჰა, ბუზღუნავ, ეხლა ხომ ველარას მეტყვი! შენის აზრით, მგონი რიგიანადა ვარ ჩაცმული, არა?

— დედასა სძინავს? იკითხა კარლმა.

ლიზამ პასუხის მაგიერ გამოაღო მეორე ოთახის კარი და საშინელი ხვრინვა მოისმა.

— დიდ-კაცურადა სძინავს არა? სთქვა ლიზამ ღიმილით და რადგან ამ დროს საათმა ცხრა დაჰკრა, თან შემდეგიც დაუმატა: დიდება ღმერთსა, ეხლა-კი შეიძლება დაძინება?

— მერე ყველანი შინ არიან? დაეკითხა კარლი.

— ყველანი შინ არიან, არტურის მეტი. მაგრამ იმას თავისი გასაღები აქვს. ეხლა იმას ხომ არ დავუცდი! ხომ ვიცი რომ ორს საათზედ ადრე არ დაბრუნდება. ოხ, ღმერთო, რანაირად დავიქანცე! სთქვა ლიზამ და თან გაიზმორა. ღამე მშვიდობისა, კარლო, შენი ვახშამი სტოლზეა. შენც ხომ ეხლავე დაიძინებ? ხომ აღარ იმუშავებ ამაღამ?

კარლმა თავი დაიქნია.

— მგონი რომ აღარ ვიმუშავებ.

კარლი თავისს ოთახში გავიდა.

კარლს ძლიერ სასიამოვნოდ დარჩა, რომ და ისე მზრუნველობით მოეკიდა. თავისს სიცოცხლეში ალერსი ძლიერ ცოტა ჰქონდა გამოვლილი და იმ ცოტათიც კმაყოფილი იყო. ვინ იცის, იქნება ლიზა მოვარგისდესო, იფიქრა კარლმა და შავი ფიქრები გადაეყარა, ვიდრე ვახშმობდა. მართლაც, ან-კი სად უნდა ესწავლა ლიზას ზრდილობა? თავისს დღეში კარგი, სამაგალითო საზოგადოება არ უნახავს. ვინ იყო ლიზას პატრონი? ვინ ასწავლიდა, ესე და ესე უნდა მოიქცეო? იქნება ახალს გარემოებაში რომ ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** ხუთშაბათს, 23 ივლისს, მაყალოსხევის ახლოს იქაურმა მამასახლისმა ავაზაკებისაგან მოკლული კაცის გვამი იპოვნა. მკურნალმა შეამოწმა, რომ ეს კაცი ხანჯლითა ყოფილა მოკლული.

*** გაზეთს „Тиф. Лис.“-ს სწერენ ბერთუბანიდგან, რომ იქ საქონლის ჭირი გაჩენილა.

*** იმავე გაზეთში დაბეჭდილია ხოლერიან სპარსელთათვის გამართულ სამკურნალოს ანგარიში. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ სამკურნალოს გამართვისათვის დახარჯულა სულ 4368 მან. 96 კაპ. სამკურნალოსთვის შეუწირავთ: სპარსეთის ქვეშევრდომთ—2525 მ., ტფილისელ მუსულმანთ—363 მანათი 96 კ. სულ შეწირული ფული არის 2888 მან. დანახარჯი-კი შემოწირულ ფულს 1480 მან. 96 კაპეიკითა სჭარბობს. ვალის გასასტუმრებლად უნდა შემოვიდეს შიიტელთა მეჩითისაგან 1000 მან. ამიერ-კავკასიის მუფტის ბ-ნ ლაიბოვის მიერ შეგროვილი. ამას გარდა ტფილისის გუბერნატორმა თავ. შერვაშიძემ იკისრა, აძლიოს ჯამაგირები მკურნალებს და ფერშლებს დ სამკურნალოს მოსამსახურეთ. სპარსეთის ელჩმა, მირზა-რიზა-ხანმა იკისრა, ვიდრე შემოწირულება შემოვიდოდეს, დანარჩენი ხარჯი სამკურნალოს შენახვისა, ე. ი. საჭმელ-სასმელისა ავადმყოფთათვის, ნავთისა და შეშის ხარჯი და ჯამაგირი ოთხ მოსამსახურესათვის თთვეში 15 მ. თითოს და აგრეთვე წვრილმანი ხარჯი. შემომწირველთა სია გამოცხადებული იქმნება.

*** იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ ავლაბარში დაარსებული იქნება კიდევ ერთი უფასო საჩაიე, ტფილისის მე-6 ნაწილის ბოქაულის ბ-ნ გლებოვის მეთაურობით და მღვდლების: ტერ-გრიქურ გნუნის და ვაჰან სუქიასოვის ხარჯით.

*** ივლისის 26, მჭედლების ქუჩაზედ, დარჩო გაბაშვილის ლუდხანაში ხარლამპი ფედორენკომ გაუფრთხილებლობის გამო ცულით მსუბუქად დასჭრა უნტერ-აფიცერი მიხეილ სანგელსკი. დამნაშავე შეიპყრეს, დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** 27 ივლისს მუხრანის ქუჩაზედ სათადარიგო ფელდფებელმა რომან ვალებეუკმა სიმთვრალის დროს კარბოლის სიმჟავე დალია და გარდაიცვალა.

## მთავრობის განკარგულებანი

კავკასის მსროლელთა დრუჟინის პოდპორუჩიკს თავ. წერეთელს ებოძა პორუჩიკობა.

სამსახურს გარეშე მყოფი პრაპორშჩიკი ედიგაროვი დანიშნულ იქმნა ყარსის მილიციის ასის თავის თანაშემწედ.

საგუბერნიო მმართველობის საერო განყოფილების საქმეთა მწარმოებელი, კოლეჟსკი სეკრეტარი ბორისაშვილი, დანიშნულ იქმნა იმავე მმართველობის ბუჰგალტერად.

იმავე მმართველობის საქმეთა-მწარმოებლის თანაშემწედ დანიშნულ იქმნა თავ. თუმანიშვილი.

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მიღებულ იქმნა ფოსტალიონად არტემ ბერიკაშვილი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ვარჯანული** (ბათუმის ოლქი), 20 ივლისს. დაბა ჩურუქსუდამ სოფ. ვარჯანულამდის 35 ვერსზე მეტი იქმნება: გზა მიემართება მრავალს მეტად მაღალს მთებს შუა, რომელიც დაბურულია მაღალის ხეებით. ამ ხეებისაგან მთლად ამ სოფლის გზა და ხეობა დაბნელებულია; აქა-იქ კაცი ხშირად ჰხედავს მარტო ბზის და კაკლის ტყეებს; კაკლის ტყეებში—ეკლესიის ნაშთებს. აქ ისეთი ხეებიც მოიპოვება, რომელიც საქართველოში იშვიათი უნდა იყოს. ამ ტყეებს შუაში ჩამოუდის კინტრიშის წყალი, რომელიც შავ ზღვას ერთვის. მთლად ამ კინტრიშის ხეობის სოფლებს ეს წყალი შველის. შიგ თევზიც ბევრი იცის. აქა-იქ ცივი წყაროებიც მრავალია. სოფლებში ყველგან ქართველი თათრები წყაროს „საცივს“ ეძახიან, წყარო რომ უთხრათ, ვერ მიხვდებიან.

რამდენიც კაცი უფრო შორდება შავ ზღვის ნაპირებს და შორს მიდის, რამდენიც უფრო შორს, შეუვალს უდაბურს ტყეებში მდებარე ქართველთ მაჰმადიანთ სოფლებში შეხვალ, იმდენად უფრო სუფთად არის დაცული და შენახული ქართული ენა. აქა-იქ მხოლოდ თითო-ოროლა სიტყვას გაიგონებ ოსმალურს. მაგალითად: კონახი (სასძლო), იალი (ერბო), ხოჯა, მოლა, ჯამე, იმამი, მუხთარი (მამასახლისი), ნიზამი (ჯარისკაცი), ფადიშახი (ხელმწიფე), ასკერი (ლაშქარი) და რამდენსამე სხვა სიტყვას, დანარჩენი სულ ქართულია. ყველგან ქართული ლაპარაკი, ქართული ხმაურობა, ქართული სიმღერები, ქართული ღიღინი. ამ ბნელის ტყეებით დაბურულს სოფლის ხალხს თქვენ ვერას გზით ვერ შეატყობთ, თუ თათრები არიან, ხოლო როცა მოლა ჯამეს მინარიდამ გადმოდგება და „ლა ილაჰს“ დაიწყებს, მაშინ იგრძნობთ, რომ თათრებში ხართ. მოხუცებულებმა მითხრეს, რომ ოსმალოს დროსაც ჩვენში მოლებისა და ხოჯების გარდა ოსმალოდამ ერთი კაციც არ გვინახავს აქ მოსულიო.

სოფ. ვარჯანულს დიდ-ძალი სოფლები აკრავს გარსა და ეს სოფლებიც ისეა ბუნებისაგან შემკულ-დამშვენებული, როგორც ვარჯანული. სხვათა შორის ვარჯანულს გვერდით არის სოფ. ქოხათი; ქოხათის ერთს მაღალს მთაზედ, რომელიც ტყით არის დაბურული, ერთს ალაგას, ალმართულია ოთხ არშინიანი თლილი ქვის სარჩობელა, რომელსაც თავზედ სარჩობელას გამოსაბამი რკინის კავის ადგილი აქვს, რკინა გამოვარდნილია. შუაში გამობმული აქვს ჯაჭვი. ეს თლილი ქვის სარჩობელა ოსმალეთის მთავრობას იმ დროს აღუმართავს, როცა კინტრიშის ხეობის ქართველობას გათათრება დაუწყეს. ვინც არა თათრდებოდა, იმას ან დარჩობა ელოდა და ან იმერეთსა და ქართლში გადმოვარდნა. ბევრნი თავიანთ ძვირფასს მამულებს ვერ ეთხოვებოდნენ, იმერეთისა და ქართლისკენ ვერ მორბოდნენ, რჩებოდნენ აქ, მაგრამ საცოდავნი ვერც თათრობას ეთვისებოდნენ ადვილად; მათი გათათრება ხან დღეს იყო დანიშნული და ხან ხვალ, მაგრამ საბოლოოდ-კი საქმის გარდაწყვეტა ძლიერ აშინებდათ; ასეთებს ვერც იმათი მაგალითები ახალისებდა, რომელნიც სულ ადვილად სტოვებდნენ მამა-პაპის სჯულს და ეთვისებოდნენ მუჰამედს. აი, ოსმალთ ასეთი მტკიცე ქრისტიანი ქართველები მიჰყავდათ ამ სამარცხვინო სარჩობელას წინ და აყენებდნენ. ვინც გადაწყვეტით უარს ამბობდა თათრობაზედ, იმას ამ ქვის წვერზედ ჩამოჰკიდებდნენ და არჩობდნენ. დამრჩვალი სამს დღეს ეკიდა და გამვლელ-გამომვლელი უმზერდა ჩამორჩობილს. ვინც გარდაწყვეტილს პასუხს არ აძლევდა, იმას კიდევ ჯაჭვით აბამდნენ და დღე და ღამ ამ ტყეში სტოვებდნენ. დაბმული თუ თათრობას გამოაცხადებდა, მაშინვე ხსნიდნენ და გასათათრებლად მიჰყავდათ, ვინც უარს ამბობდა და ქრისტიანობაზედ მტკიცედ იდგა, იმას ხსნიდნენ ჯაჭვსა და აჰყავდათ სარჩობელაზედ დასარჩობად.

ასე და ამ გვარად ძლიერ ბევრი ქართველობა დახოცილა აქა, ძლიერ ბევრი ქართველი წამებულა, მოწამეობის გვირგვინით შემოსილა და სარჩობელასაც გმირულად მიჰგებებია; ბევრნი გადარჩენილან სიკვდილს გათათრების მეოხებით, რომელთა შთამომავალნი დღეს სცხოვრობენ ამ მხარეში.

აი, ამ გვარის ძალ-დატანებით, სარჩობელით, თავ-საკვეთით, ჯაჭვებით, შემოუტანია ოსმალეთს ამ მხარეში მუჰამედის სარწმუნოება და 1629—1770 წლამდის ნახევარ მილიონზედ მეტი ქართველობა გაუთათრებია.

ვარჯანულს აქვს თავისი ჯამე და ჰყავს ხოჯად ჭანი, რომელიც თავის ფანატიზმით და ქართველობის მტრობით არის განთქმული. ამ სოფლის მახლობლივ მდებარეობს სოფ. ხინო. შესანიშნავი სოფელია წყლით, მთებით, ტყეებით, ჰაერით და სხვ. აქ იყო ძველად საეპისკოპოსო, იჯდა ეპისკოპოსი, რომელსაც ხინოწმინდელს უწოდებდნენ. უკანასკნელი ეპისკოპოსი იყო გურული—წუწუნაიშვილი. ოსმალებმა რომ დაიკავეს ეს მხარე, ერთის წლის შემდეგ 1771 წ. ეს ეპისკოპოსიც გამოაძევეს და ეკკლესიაც გააუქმეს. ეკკლესია აქამდის დაცულა, აქა-იქ მინგრეულ-მონგრეულა და მწვანე ხეებით დაბურულა.

ომის დროს აქ 200 კომლი იყო, ზოგი ომში გაწყდა და რაც გადარჩა, 140 კომლი, ესენიც ოსმალეთში გადასახლდნენ. ამათ მაგიერ აჭარელი ქართველები გადმოსახლდნენ და დასახლდნენ აქ, 50 კომლზედ მეტი. ამათ აქვთ ჯამე, ხოჯად ჰყავთ ქართველი ახალგაზდა კაცი, გვარად დადიანიძე, ქართულის წერა-კითხვის მცოდნე. ეს სოფელი თავის მშვენების გამო ბევრს ქართველ მაჰმადიანთა სახალხო მელექსეს შეუმკია თავისს ლექსებში. სხვათა შორის ამ სოფელზედ გამოუთქვამს ლექსი ქართველთ მაჰმადიანთ საყვარელ სახალხო მელექსეს ჰუსეინ კამჟარაძესაც. ეს ლექსი ასე იწყება:

ხინო არს კაი სოფელი,
რის გაიშლება ყვავილი.

ამ მხრის სოფლებში, ამ ბოლოს დროს, ქართული მამასახლისური წეს-წყობილება დაუმკვიდრებიათ. აქამდის აქეთ მამასახლისებს „მუხთარს“ უწოდებდნენ ოსმალურად და ეხლა-კი ქართულად უწოდებენ მამასახლისს. ყველგან ეს სიტყვა გესმით, მამასახლისი, მუხთარი აღარსად არის. ამ შორს მყოფ ქართველ მაჰმადიანთ ბათუმიდგან თათრულად დაწერილი უწყებანი მოსდით; თათრული კითხვა-კი ამათში თითქმის არავინ იცის, ხანდახან ხოჯაც შინ არ არის, რომ წაიკითხოს და ხალხს შეატყობინოს მთავრობის მოწერილობა. ამის გამო მამასახლისი ერთ ვაი-ვაგლახში ვარდება და ერთის სოფლიდამ მეორე სოფელში მიაქვს, რომ მეორე სოფლის ხოჯამ წაუკითხოს უწყება. ქართულად მოწერილი უწყება რომ მოუვიდეთ, წამკითხავს თვით ქართველ თათრის ქალებშიაც-კი იპოვნიან და მალე წაიკითხავენ და მოწერილობასაც მალე შეიტყობენ, მაგრამ ყადების მეოხებით ეს ასე არ არის დადგენილი. იმედია, რომ ამას ყურადღებას მიაქცევენ და თათრულს ენაზედ დაწერილ უწყების მაგიერ ქართულის ასოებით დაწერილებს გაუგზავნიან.

რამდენისამე ქართველ მაჰმადიანთ სოფლის მამასახლისები ჩემთან მოვიდნენ ამას წინად და მთხოვეს: შენი ჭირიმე, ჩვენ გავიგეთ, რომ ვითომც ქართულს ენაზედ მამასახლისების წიგნი მოიძევებაო, თუ ამ წიგნს გვიშოვნი ფასად, რაც გენებოთ, ის გადავგვახდევინეო. ეს წიგნი ჩვენთვის ძლიერ საჭიროა; დიდად დაგიმადლებთ. აბა, თქვენ იცით, თუ არ დაივიწყებთო. მე ვკითხე: რად გინდათ ქართული, როცა თქვენში ყველა თათრულად სწერს და ქართული არავინ იცის-მეთქი. იმათ მომიგეს: არა, ბატონო, ჩვენ ქართული უფრო ვიცით. თათრულსაც ვკითხულობთ, მაგრამ ის სულ არ გვესმის და ქართული-კი ახლა დავისწავლეთ, რადგანაც საჭირო შეიქმნა. ქართულს უფრო ადვილად ვწავლობთ, უფრო კარგადაც გვესმის, რადგანაც ეს ენა არის ჩვენი ენა და თათრულისა-კი არც ჩვენ ვიცით რამე და არც ჩვენმა ბაღანებმა იციან, თუმცა მარტო თათრულს ანბანს ჩვენი ბაღანები სამს

---

ვარდეს, სრულიად გამოიცვალოს? თუ კარლმა გაიმარჯვა, პირველი იმისი ზრუნვა ლიზას პატრონობა იქმნება. სადმე კარგს სკოლაში მიაბარებს, ასწავლის ყველაფერს და შემდეგ დაიწყებენ რიგიანს ცხოვრებას. რა ნაირად იამაყებს კარლი თავისის დითა! კარლმა, რომ ტანისამოსის გახდა დაიწყო, კარები ვილამაც დააკაკუნა.

— კარლ!

— რა გინდა? შემოდი.

ლიზამ ოთახში შემოიხედა.

— მე მხოლოდ ის უნდა მეთქვა, რომ ფანჯარა ღია არ დასტოვო.

— რატომ არა, ხომ ჰხედევ, რა ნაირად ცხელა?

— აი ჩვენი დიდი კატა ეზოში დაეხეტება, თავიდგან ველარ მოიშორებ, უთუოდ გადმოხტებაო, სთქვა ლიზამ, მივიდა ფანჯარასთან და მიჰხურა. როცა ისევ თავისს ოთახში მიდიოდა, ლიზამ ერთი ჩასჩქმიტა კარლს ხელი და ისე გაიქცა; „ეხლაკი დაიძინე, ბუზღუნავ, თორემ ეგ შენი სწავლა სულ ერთიანად ამოგიქრება ტვინიდგან“.

კარლმა გაიღიმა, ნელ-ნელა გაიხადა ტანისამოსი და ისე მძიმედ დაეშვა დასაწოლად, რომ ტახტმა საშინელი ჰრაჰუნი მოიღო.

ლიზამ სანთელი ჩააქრო, დერეფნის კარები ჩაჰკეტა, მაგრამ დასაძინებლად-კი სრულიად არ მომზადებულა, მხოლოდ გაუხდელი წამოწვა სამზარეულოში თავისს საწოლზედ და ფხიზლად უგდებდა ყურსა, ხომ არა ხმაურობს-რაო. ყველგან სრული სიჩუმე იყო, მხოლოდ დედა-ბერი ხვრინავდა ისე საშინლად, რომ კატაც ვერა ჰბედავდა ახლო მისვლას. ლიზას მაინც არ დაუმშვიდდა გული. როცა კარლმაც თავისს ოთახიდგან ბანი მისცა დედასა და ნელი ხვრინვა ამოუშვა, მაშინ-კი გაეხარდა ლიზას, წამოხტა და იმ ფანჯარასთან მივიდა, რომლის გვერდითაც უთუოდ უნდა გამოევლო გარედგან მომსვლელს. ნელა გააღო ფანჯარა და კიდევ მიწვა, მაგრამ დასაძინებლად-კი არა: ისე მხარ-თეძოზედ იყო წამოწოლილი და სულ-განაბული და თვალებგაჭყეტილი რაღასაც ყურს უგდებდა.

უეცრად ქუჩიდგან ნაცნობი ხმა და სიმღერა შემოესმა. ლიზამ თავი მაღლა აიღო და უცნაურად გაიღიმა. ფეხის ხმა მოახლოვდა. ვილამაც კიდეც შემოიხედა ფანჯარაში. ლიზა ყველაფერს კარგად ჰხედავდა, მაგრამ თითონ-კი ოთახის სიბნელეში იყო დამალული და არა სჩანდა.

— ლიზა!—შემოიძახა ჩურჩულით მოსულმა.

ლიზამ პასუხი არ გასცა.

— ლიზა, კურდღლის ბაჭიავ, სადა ხარ, ჰა?

ლიზა ძლივს-ღა იმაგრებდა სიცილსა, მაგრამ გაჩუმებული იდგა და ფეხიც არ გადაუდგამს.

— კარგი ახლა, ნუ ცუღლუტობ, თორემ მე თითონ მოვალ მანდა!

ლიზამ შეატყო, ეს არის ეხლა-კი არტური უთუოდ გაამართლებს თავისს მუქარასა, და თითონვე წამოხტა და მიცქრიალდა ფანჯარასთან და, ვითომ აქ არაფერია, ნაძალადევის დარბაისლურის კილოთი ჰკითხა:

— გასაღები შინ ხომ არ დაგავიწყდათ, ბ-ნო არტურ?

— არა, ჩემო ბაჭიავ, კარს უშენოდაც კარგად გავაღებ. მაგრამ შენ ეხლა პატარახანს ჩემს ქოხში უნდა წამობრძანდე, ვილაპარაკოთ. მხოლოდ შენის გულისთვის დავბრუნდი ესე მეტის-მეტად ადრე და თავს ხომ არ დამანებებ. წავიდეთ, ტკბილეულობა მოგიტანე, ისეთი გემრიელია, რომ ჰა!

— არა, ბატონო არტურო; უთხრა ლიზამ და ხმაში რაღაც მწუხარება შეეტყო: ღმერთმანი, არ შემიძლიან! რომ დაგვინახონ მერე?

— ვინ უნდა დაგვინახოს, ჩიტუნიავ! ყველა გულის ძილში არის. ნელა, ნელა წავიდეთ. ხომ დამპირდი, განა პირობას არ შეასრულებ!

არტური დაიღუნა, მოჰხვია ლიზას ხელები და აკოცა.

ლიზას უნდოდა გაჰშვებინებოდა, მაგრამ არტურს მაგრა ჰყვანდა დაბღუჯული; ასწია მაღლა, მიიკრა გულში და, ვიდრე ლიზა გონს მოვიდოდა, ფანჯრიდგან ეზოში გადმოსვა.

ლიზას წაყოლაც უნდოდა და თან შიშითაც გული უფანცქალებდა. არტურმა დრო არც-კი მისცა მოსაფიქრებლად, ცალის ხელით ლიზა ეჭირა, რომ არ გასხლტომოდა, მეორე ხელით კარები გააღო და უთხრა: „აი ესე არა სჯობია, ჩიტუნიავ, აბა ნელა შედი“-ო და შეიყვანა თავისს ოთახში.

ს. გძელიშვილი

(შემდეგი იქნება)

წელიწადს სწავლობენო. ამათ დიდად უხარიანთ ქართულ წიგნების კითხვა და გავრცელება.

ქართულის ენისა და წიგნების გავრცელების საქმისთვის ზოგიერთ ჭანელ-ლაზელ ხოჯებს ცუდად შეუხედნიათ. ესენი თურმე მოხუცებულებს ეუბნებიან, რომ ქართული კითხვა არ ისწავლოთ, თორემ ბოლოს თქვენ თქვენის ნებით გაქრისტიანდებითო. რუსების შემოსვლის შემდეგ ამათ ისე უმოქმედნიათ, რომ ქართველ მაჰმადიანს დღეს სიტყვა ქართველი გინებად მიაჩნია: ხოჯას რომ ვინმე გააჯავრებს, მაშინვე გაჯავრებით დაუყვირებს, „აი შე ქართველოვო“, მაგრამ ქართულ კითხვის წინააღმდეგკი ვერაფერი გაუწყვიათ, რადგანაც ქართველ მაჰმადიანებისთვის დრო და გარემოება სასტიკად შეიცვალა და ქართული ენა და წიგნი უფრო საჭირო შეიქმნა. დღეს ამ საჭიროებას ქართველი თათრები აშკარად ჰგრძნობენ და, საცა-კი სოფელში მივალ, იქ ბევრს ვხედავ ქართულ წერა-კითხვის ცოდნის მონატრულს, როგორც პატარებს, ისე დიდებს. მაგრამ ამათ წადილს ხოჯები აფერხებენ ახლა.

ზ. ჭ.

(დასასრული იქნება)

## დეპეშა

25 ივლისი

**პეტერბურგი.** „Волгарь“-ი იუწყება: მემკვიდრე ცესარევიჩმა საგანგებო კომიტეტის ფულიდგან 50,000 მანათი გადასდო ქ. ნიჟეგოროდის მცხოვრებთა დასახმარებლად.

გაზეთები იუწყებიან, რომ პეტერბურგში არსდება ახალი კომისია, რომელსაც ვალად ექნება შეიმუშავოს პროექტი, რომლის ძალითაც სავალდებულო იქმნება ყანების დაზღვევა.

გაზეთებისავე თქმით, ვოლგისა და კამის ნავთსადგურიდგან 10 ავგისტომდე აკრძალულია ჩვრების გატანა. 10 ივლისიდგან-კი ჩვრების გადატან-გადმოტანა შეიძლება მხოლოდ საგანგებო გემებით.

**ბერლინი.** როტშილდის კასირს იეგერს, რომელსაც 1,780,000 მარკის გაფლანგვა ჰბრალდებოდა, ფრანკფურტის სასამართლომ 10 წლით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა.

დღეს ბერლინზედ გაიარა თავადმა ბისმარკმა. საზოგადოებამ ავაციები გაუმართა.

26 ივლისი.

**პეტერბურგი.** სამკურნალო დეპარტამენტმა მიიწვია საზღვარ-გარედ სამკურნალო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული ქალნი და კაცნი რუსეთში ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სამეურნეო დეპარტამენტის მიერ შეგროვილ ცნობათაგანა სჩანს, რომ წელს ევროპის რუსეთში იმოდენა მოსავალია, რომ სრულიად ეყოფა მთელს რუსეთს და კიდევაც ბევრი დარჩება.

„Гражданинъ“-ს შეუტყვია, რომ სამოქალაქო ახალი დებულება დაუყოვნებლივ იქნება შემოღებული საგუბერნიო ქალაქებში, ხოლო მაზრის ქალაქებში მომავალ წლიდგან.

**პარიჟი.** ფერნანდოს ცირკის დარბაზში მიტინგი მოხდა, რომელმაც პროტესტი განაცხადა სოფიაში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. მიტინგს დაესწრო 2,000 კაცამდე. დეპუტატებმა მილვოდმა, რუსომ და როშმა სიტყვა წარმოსთქვეს. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ჰკიცხავს სტამბულოვსა და კობურგის პრინცსა.

პეტერბურგის ბირჟა, 24 ივლისის.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გარიგე-ბისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,88 | 7,90 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 157¼ | 158¼ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — ,, | — ,, | 235¼ |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 223¼ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მოგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | 102¾ | — ,, | — ,, |
| 5% | 99½ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | 102¾ | — ,, | — ,, |
| 5% | 99¾ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¾ | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

#### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაითს.

ფოთიდგ გადის:ნ

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „
ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

## განცხადებანი

### კბილის ექიმი
### ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

კვირ-უქმეა დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევისე 1 საათამდე. (150—79)

ქ. ოზურგეთში

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: მ. კ.

1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . . „ 5
2) „ჩხუბი ერთი კვერცხისათვის“ ტოლსტოისა . „ 5
3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა . „ 5
4) „ქართულ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა. „ 80
5) „რავდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . . „ 50
6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე . „ 30
7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . . „ 40

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლებლებთან.

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (Караванъ-сарай Земельн. банка № 125) ახალი წიგნი.

### რუხი მგელი

მოთხრობა გ. წერეთლისა

ფასი სამი შაური

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან განიზრახა ბეჭდვა პატარა-პატარა წიგნისა ხალხში გასავრცელებლად, რაისათვისაც იგი იწვევს მსურველთ ხელნაწერი წარმოუდგინონ „საზოგადოების“ გამგეობას პირველ იანვრამდე 1893 წლისა „საზოგადოების“ კანცელარიაში (ტფილისის ბანკის ქარვასლა, №№ 125 და 126) ან ფოსტით ამ ადრესით, ან პირადად დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. რომელ ხელნაწერსაც-კი „გამგეობა“ მოიწონებს, შემადგენელს მისცემს

### ჯილდოს.

პირველის ხარისხის ჯილდოა 50 მან., მეორისა—40 მან., მესამისა—25 მ.

ხელნაწერი უნდა იყოს არა უდიდეს 2 ბეჭდურის, თაბახისა 50—60 გვერდისა (ფორმატის გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ „საზოგადოების“ კანცელარიაში). ეს შეადგენს დაახლოვებით 4—5 თაბახს უბრალო საწერ ქაღალდისას, შუათანა ხელით დაწერილს. ხელნაწერი უნდა იყოს მდაბიო, კარგის ქართულის ენით დაწერილი, და უნდა შეეხებოდეს ან ისტორიას, ან ბუნების-მეტყველებას, ან შეადგენდეს მოთხრობას ორიგინალურს ანუ თარგმნილს. შემადგენელმა ან ავტორმა ხელნაწერი უნდა წარმოადგინოს ორ პაკეტში შემდეგის წესით: ერთ პაკეტში უნდა იყოს ხელნაწერი რაიმე ნიშნით (მაგ ანდაზა, გამოცანა), მეორეში სახელი და გვარი ავტორისა და იგივე ნიშანი, რომელიც პირველს პაკეტში იქნება. გამგეობა მეორე პაკეტს მხოლოდ მაშინ გახსნის, თუ ხელნაწერს მოიწონებს სრულად, თუ პირობით (შესწორებით, ან შემოკლებით); თუ გამგეობა ხელ-ნაწერს დაიწუნებს, უკანვე დაუბრუნებს ნიშნის წარმომდგენელს.

გამგეობა მაშინვე შეუდგება მოწონებულის ხელნაწერის ბეჭდვას და პირველი გამოცემა 1,200 ეგზემპლიარისა „საზოგადოების“ კუთვნილება იქნება.

მსურველთ შეუძლიანთ კანცელარიაში გაიცნონ სია იმ წიგნებისა, რომელიც სასურველია გადმოკეთდეს, ან გადმოითარგმნოს.

## გამოვიდა და ისყიდება

სამეურნეო საზოგადოებასა და ზაქ. პეტრეს ძეს გრიქუროვთან არჩილ დარეჯანაშვილი მიერ შედგენილი წიგნები:

ა) ხეხილების დარგვა და მისი მოვლა, 15 სურათით, ფასი აბაზი.

ბ) Краткое наставленіе о размноженіи плодовыхъ деревъ и кустарниковъ съ 15 рисунками.

ფასი აბაზი.

(10—7)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. | 10 მ.—კ. | 6 | თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50,, | 5 | ,, | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75,, | 4 | ,, | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, | 8 ,, —,, | 3 | ,, | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25,, | 2 | ,, | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50,, | 1 | ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში №.